კვირა, 5 სეკდემბერი, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 კვირა, 5 სეკდემბერი, 1904 წ.

გაზეთის ფასი:

| | | |
|---|---|---|
| 12 თვით | . . | 10 მ. — კ. |
| 11 ,, | . . | 9 ,, 50 ,, |
| 10 ,, | . . | 8 ,, 75 ,, |
| 9 ,, | . . | 8 ,, — ,, |
| 8 ,, | . . | 7 ,, 25 ,, |
| 7 ,, | . . | 6 ,, 50 ,, |
| 6 ,, | . . | 6 ,, — ,, |
| 5 ,, | . . | 5 ,, 50 ,, |
| 4 ,, | . . | 4 ,, 75 ,, |
| 3 ,, | . . | 3 ,, 50 ,, |
| 2 ,, | . . | 2 ,, 75 ,, |
| 1 ,, | . . | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 206 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 206

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს— 3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრიქონი, მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი, ანუ დიდი განცხადება, ცალკე მორიგებით.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

პირველ სეკდემბრიდგან წლის დამლევამდე ჰღირს . . . 4 „ 75 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს:

პირველ სეკდემბრიდგან წლის დამლევამდე ქალაქში . . . . 2 „ 25 „

„ „ „ „ ქალაქ გარედ . . 2 „ 50

გაზ. „ივერიის“ **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდგან 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—„ივერიის“ რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა).

**ქუთაისში:**—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათომში:**—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საზუნჩაში:**—პეტრე მაჭავარიანთან.

**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.

**განჯაში:**—სოფრომ კანდელაკთან (სადგურზედ).

**გორში:**—ანტონ კასრაძესთან.

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція „Иверія“.

## ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღზია „ცოდნა“-ს გამოცემა.

| | |
|---|---|
| ილია ჭავჭავაძის ლექსები. . . . . . . | 15 კაპ. |
| რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა . . . . . . | 20 ,, |
| რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა . . . . . | 10 ,, |
| სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა . . . | 10 ,, |
| ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი . . | 7 ,, |

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნების, თვითეულ გამოცემიდგან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“. (40—27). მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

## ლალაში

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,

ავტორის სურათით და წინასიტყვაობით.

თარგმანი გრ. ყიფშიძისა

გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.

**ფასი ერთი მანეთი**

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი დაეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

**ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აკრძალულია.**

**ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ კვირას, 19 სეკდემბერს, დილის 11 საათზედ, ქართულ თეატრის ფოიეში დანიშნულია

საზოგადოების წევრთა

## წლიური კრება

განსახილველი საგნები:

1) განხილვა და დამტკიცება წარსულის წლის ანგარიშისა.

2) სარევიზიო კომისიის მოხსენება.

3) არჩევანი გამგეობის შვიდის წევრისა და სამის კანდიდატისა.

4) არჩევანი სარევიზიო კომისიის წევრთა.

5) არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა. 4—4

გამოვიდა ახალი

## კატალოგი

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიის წიგნებისა. მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ უფასოდ წიგნის მაღაზიებში.

ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა

## საბჭო

ამით აცხადებს, რომ მიმდინარე სამოსწავლო წელს მის მიერ დაფუძნებულ

**ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებელში**

იხსნება მხოლოდ მესამე კლასი. ამ კლასში იქმნება ორმოცი ადგილი. მიღებულ იქმნებიან ის ყმაწვილები, რომელნიც დაიჭერენ სამოქალაქო სასწავლებელთა ორ პირველი კლასის (განყოფილების) ეგზამენს. გამოცდა დაიწყება თერთმეტ (11) ენკენისთვიდან. თხოვნები უნდა შემოიტანონ ინსპექტორის სახელზე ჭიათურაში ეგზამენის დაწყებამდე. თხოვნასთან ერთად უნდა წარმოადგინონ წლოვანების და ყვავილის მოწმობა. ფოსტით გამოსაგზავნ თხოვნის ადრესი: Чiатури. Инспектору городскаго училища. (1—6—1).

კბილის ექიმი

## ალ. სოლოღაშვილი გადავიდა

გოლოვინის პროსპექტზედ, მდივანის სახლში, № 12, „კრუჟოკის“ გვერდზე.

ავადმყოფებს მიიღებს დილით 10—3 საათამდე, საღამოთი 5—7-მდე. კვირაობით 9—10 საათამდე. (5—4).

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

**გულივერის მოგზაურობა**

სვიფტისა, მრავალის სურათით. 168 გვ. ფასი 30 კაპ.

**გამოვიდა და ისყიდება**

შორეულ აღმოსავლეთის დაწვრილებული

## ქართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა». ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

ქართულ თეატრის დამხმარებელ

## ამხანაგობის დამაარსებელნი

სთხოვენ ყველას, ვისაც ამხანაგობის წევრად ჩაწერის სურვილი აქვს, მიჰმართოს **თ-დ ზაქარია ელიზბარის-ძეს ერისთავს** (დრამატიულ საზოგადოების კომიტეტის კანცელარიაში) და **შიო ედიშერის ძეს დავითიშვილს** («ივერიის» რედაქციაში) დილის 10 საათიდგან 2 საათამდე.

5—უ—5.

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. ავეტიხიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. ზძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კკრაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**ზ. ს. ელში.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. ზძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардiана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

**ქართველნი მკურნალნი:**

**ბედევანიშვილი მიხეილ,**—ჟორდანიას ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს —67 საათამდე.

**ზძელიშეილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩნაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა,** მიხეილის პროსპექტი, № 145.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—დოროსმელნიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. ბედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი** № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 10—11 ს.

**ა. ი. ბალარჯიშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. მ. მოგინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 2—1 ს.

**დ. ა. ბედევნიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

**ტყეშელაშვილი.**—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 11—12 ს. სამშ, ხუთშ. შაბათ.

**გრ. მ. სოგოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

ლიაოიანის ომი.—მუკდენთან იაპონელების ტაქტიკა.—წვრილი ცნობები.—ჩინელების ჯარი.

მარშალი ოიამა ამბობს თავის ოფიციალურ მოხსენებაში, ვითომც რუსებმა დიდის გაჭირვებით მოახერხეს თავის ზარბაზნების გაზიდვა ლიაოიანიდგან, ხოლო ტყვია-ყუმბარები თოფის წამალთან ეწყო და აფეთქდაო. რუსებს დიდი ზარბაზნებიც ჰქონიათ; ეს იმითი მტკიცდება, რომ 15—18 სანტიმეტრიანი ყუმბარები ვიპოვეთ. ხოლო ამისთანა ზარბაზნებით არ უსროლიათ. რავდენადაც ვიცით, რუსებმა 10,000 დაჭრილი მუკდენს იქით წაიყვანეს, მაგრამ ვერ გაგვიგია, სულ რავდენი მეომარი დაუშავდა. ლიაოიანს გარშემო 3,000 მოკლული რუსი ვიპოვეთ და დავასაფლავეთ. (რ. ვ.).

—

«ნევ. ფრ. პრ»-ის სამხედრო მიმომხილველი ამბობს: მუკდენს, როგორც ლიაოიანში, დიდძალი საწყობი უნდა იყოს, იმქნება უფრო მეტიც, რადგან რკინის გზის ვაგონები და ეტლები სულ დაბანდებულია ამ ბოლოს დროს. საეჭვოა, საწყობების დაცლა და გადაზიდვა მოასწრონ.

თვით ტელინშიც, სადაც რუსის ჯარი ამ ზამთარს აპირობს დაბინავებას, სიმაგრეებს მოწყობა უნდა. ამიტომაც გენერალი კუროპატკინი მდინარე ხუნხესთან, მუკდენის სამხრეთად ბლომად დასტოვებს ჯარს, რომ იაპონელები შეაჩეროს და ფრთების გაშლაში დრო დააკარგვინოს. მართალი უნდა იყოს ის ამბავი, რომელსაც უცხოელი კორესპონდენტები იუწყებიან, რომ ომი მუკდენსა და შახეს შუა მოხდებაო. «კენისბერგის გაზეთი» ამბობს, ვითომც მუკდენის დასავლეთად 40,000 იაპონელი დაბანაკებულაო. (ბ. ვ.).

—

საყურადღებოა, რომ იაპონელები აქამომდე ძალიან ნელა მიდიოდნენ წინ, დღეში 3 ვერსტს არ გამოსცილდებოდნენ, ეხლა-კი ათს დღეში 90 ვერსტი გამოიარეს. წინად ამბობდნენ, იაპონელები ხელდა-ხელ ბრძოლას ერიდებიანო; ეხლა-კი თითონ იწევდნენ და იერიში მიჰქონდათ მთასა თუ ბარში. მხოლოდ ერთი ხერხი არ შესცვალეს: იმ დროს, როდესაც სამხრეთად მცირე ჯარი იბრძვის, მომეტებული ნაწილი მთა-მთა, მოფარებით, ჩრდილოეთისკენ მიდის გზის გადასაჭრელად. როდესაც ამ რიგად თავის ლაშქარს ჩრდილოეთისკენ გადიყვანენ, იმ დროს წინანდელი შუბლის ჯარი შუა ირღვევა, ვითომც უკან იწევს, ის კი არა თუ აქეთ-იქით მხარეს იმალება და თან ჩრდილოეთისკენ მიდის. კორესპონდენტები ამიტომ იწერებოდნენ რამდენჯერმე, იაპონიის ლაშქარმა უკან დაიწიაო. ამ ხერხით ჩვენს ჯარს ატყუებდნენ. გამოკვლევით ჩვენი ჯარი ვერას იგებდა, სად იყო იაპონელების ჯარი; იმათ კი ყოველთვის კარგად იცოდნენ რუსის ჯარის მდგომარეობა, რადგან ჩვენ რკინის გზის ლიანდაგს მოვდევთ. ამასთანავე ჩინელი ჯაშუშები ყველაფერს ატყობინებენ. ეხლა სწორედ ესე იქცევიან იაპონელები. ჩვენა გვგონია, ვითომც ლიაოიანში შეჩერდნენ და წინა რაზმებიც დასწიეს. ნამდვილად კი ისინი რაღასაც აპირობენ, მდინარესთან სიმაგრეებს გააკეთებენ, ჯარს მოაწყობენ და გენერალი კუროკი საიდგანმე ჩვენს გვერდით თავს გამოჰყოფს. იმას დაედევნებიან ნოძუ და ოქუ, რომლებიც მუკდენს სამხრეთიდგან მოაწვებიან.

ახალი ჯარი ჩვენ ვერასა გვშველის, რადგან იაპონელები გვერდს უქცევენ და უკანიდგან უვლიან გზის გადასაჭრელად. (ბ. ვ.).

სავიჭრო დეპეშათა სააგენტო იუწყება შორეულ აღმოსავლეთიდგან, ლიაოიანის ომის შესახებ ჯერ ოფიციალურად არ გამოცხადებულა, რამდენი კაცი დაგვეკარგა ლიაოიანის ომში. უცხოელი გაზეთები კი თავისებურად ანგარიშობენ და ხმას ავრცელებენ, ვითომც 32 მეომარი დაგვიშავდაო. ესეც არ იკმარეს და მუკდენიდგან მისულ ცნობებით ამტკიცებენ, ვითომც 50,000 დავკარგეთ. (რ. ვ.).

—

იგივე «სააგენტო» იუწყება, იაპონურ გაზეთ «ნიში-ნიშის» სიტყვით იაპონელების ჯარს მეტი ზიანა მიეცი ლიაოიანის ომში, ვიდრე რუსებსაო. იაპონიაში ახალ ჯარს აგროვებენ და რკინის გზა სულ ჯარის-კაცების გადაყვან—გადმოყვანას უნდება. 40,000 კაცი ვლადივოსტოკის მხარეს უნდა გაგზავნონო. (პ. ვ.).

—

„ნევ-ფრ. პრ." ამბობს, ლიაოიანში მოკლულ აფიცრებს ქაღალდები აღმოაჩნდათ, რომ გენერალ კუროპატკინს იმედი ჰქონია, იაპონელებს 28 აგვისტომდე შეაჩერებ და იმ დროსთვის ცხენები მოკვევა ბარგის გადასაზიდადო. ლიაოიანის ბრძოლის დროს რუსებს მუკდენში 32,000 დასვენებული მეომარი ჰყავდათ 270 ზარბაზნით, რომელიც დაღალულ იაპონელებს უნდა დასცემოდა (რ. ვ.).

—

ტოკიოდგან იუწყებიან, კუროკი ამ ჟამად მუკდენის აღმოსავლეთად არის 30 ვერსის მანძილზე და პირდაპირ ტელინზე მიდისო. ოქუს ლაშქარი მუკდენის დასავლეთად არის და ნოძუსიც—აღმოსავლეთად. იაპონელების მოწინავე რაზმი სილახესა და საილიძის შუა არის, მუკდენის გზაზე. (ბ. ვ.).

—

ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო იწერება მუკდენიდგან, ერთმა იაპონელთა აფიცერმა, რომელიც ტყვედ წამოვიყვანეთ, საოცარი ამბავი ჩაიდინაო: ჯერ წყალი ითხოვა—დაალევინეს, თამბაქო ითხოვა—მოაწევინეს, მშვიდად და თითქო მხიარულადაც იყო. მერე ერთბაშად ახტა, დაჰკრა ქვას თავი და გაიტეხა.

მეორე იაპონელი აფიცერი ჩვენს ჯარის კაცს დაეკითხა, დაჭრილთა ბინა სად არისო, და თან გაჰყვა. გზაზე მეგობრულად ლაპარაკობდნენ. უცებ ტყვია მოხვდა და მოჰკლა. ბევრი იაპონელი ჩინებულად ლაპარაკობს რუსულადაო.

ტყვიის მფრქვეველი ზარბაზანი ერთს წუთში 60 ტყვიას ისვრის და მთელი ჩვენი ბატარეიც—48,000-ს. ამ ზარბაზნებს ჯავშანი აქვს, რომელიც ჯარის კაცებს იფარავს. ახლო მანძილზე ტყვიის მფრქვეველებს ვერა ზარბაზანი ვერ შეედრება (რ. ს.).

—

თან-ძინიდგან იწერებიან, ჩინეთის ჯარი, რომელიც დიდ ზღუდეს შიგნით იდგა, ეხლა მანჯურიაში გადასულა და მდინარე ლიაოხეს ორივე ნაპირი დაუჭერია. ამბობენ, ეს ჯარი იმ ადგილებს დაიჭერს, რომელსაც იაპონელები რუსებს ჩამოაცლიან. გერმანელი აფიცრები სცდილობენ გაიგონ, რამდენად მართალია ეს ამბავი. ჩინელების ჯარი რკინის გზით არ გადადის, თორემ მაშინ მისი მოძრაობა შეუმჩნეველი არ დარჩებოდა. (რ. ს.).

—

ტოკიოდგან იწერებიან, ამ 1904 წლის პირველ 8 თვეს იაპონიის საგარეო ვაჭრობა 424.000,000 იენამდე ასულა, შარშან ამ დროს კი 19 მილიონით ნაკლები ყოფილა (რ. ვ.).

## ტფილისი

*** სახელმწიფო კანტროლერი, ინფანტერიის გენერალი პ. ლ. ლობკო გუშინ, 4 სეკდემბერს, უკვე შეუდგა ამიერ-კავკასიის რკინის გზის კანტროლის განხილვას. მომავალ კვირაში განიხილავს ტფ. საკანტროლო პალატის საქმეებს და შემდეგ წავა ბათომს, ხოლო იქიდგან ტფილის-ბაქოს გზით პეტერბურგს დაბრუნდება.

*** დღეს, 5 სეკდემბერს, ვაჟთა 1-ლ საკვირაო სკოლაში (ჩუღურეთი, ნიკოლოოზის საქალაქო სასწავლებლის შენობაში) დაიწყება სწავლა. ამ სკოლაში მიიღებენ ისეთებს, რომელთაც წერა-კითხვა არ იციან, აგრეთვე, რომელთაც პირველდაწყებითი სკოლა გაუთავებიათ. ასწავლიან საღმრთო სჯულს, რუსულ ენას, გალობას, არითმეტიკასა და ხატვას. სწავლის მსურველთ წლოვანობა არ აბრკოლებს. სწავლა უფასოა. სწავლება იქნება ყოველ შაბათ-კვირაობით, შუადღის 12 საათიდგან საღამოს 5 საათამდე.

*** დღეს, 5 სეკდემბერს, დიდუბეში კავკასიის საკავალერიო დივიზია გაჰმართავს დოღს. შემდეგი დოღები გაიმართება კვირა-დღეობით 12 სეკდემბერსა და 19-ს. დოღი არა შემთხვევაში არ გადაიდება.

*** ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის რუსულ ენის მასწავლებლად მოწვეულ იქმნა კიევის დედათა გიმნაზიის მასწავლებელი ბ-ნი ჩიტაძე.

*** გაზ. «ტ. ლ.»-ში დაბეჭდილია ქალაქის მე-10 ნაწილის ექიმ-ქალის ქ-ნ შჩერბინინას წერილი, რომელშიაც აწერილია უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა ვინმე ალექსი ჩიტიშვილისა, რომელიც ნაძალადევში სცხოვრობს, მე-2 გალავნის ქუჩაზედ, დავით დავლიანიძის სახლში. ქ-ნ შჩერბინინას დაუთვალიერებია ჩიტიშვილის სახლი და შემდეგი გამოურკვევია: ჩიტიშვილი მეეზოვედ ყოფილა და ქუჩაში უწესოების მოხდენის დროს მარჯვენა ხელი მოსტეხია. წაუყვანიათ მიხეილის სამკურნალოში, სადაც ხელი მოუჭრიათ ექიმებს. რაკი მუშაობა ვეღარ შესძლებია, საჭმელი ვერ უშოვნია თავის დროზედ და სასმელი, თანაც ნესტიან და ბინძურ სადგომში ყოფნის გამო, ჩიტიშვილს ჭლექი გასჩენია. ჰყავს ჯერ კიდევ ახალ გაზრდა ცოლი და წვრილ-შვილი: ერთი ძუძუ-მაწოვარა, მეორე 5 წლისა და მესამე—10-სა. უსაჭმლობის გამო დედას ძუძუ გამშრალი აქვს და ბავშვის წივილს საზღვარი არა აქვს. ქ-ნი შჩერბინინა სთხოვს ქველ-მოქმედთა და გაჭირვებულთა გამკითხველთ, ნუ დაიშურებენ თავიანთ წვლილს ამ ცხოვრების გარეშე მყოფ გაჭირვებულ ოჯახისათვის. ყოველსავე შემოწირულებას დიდის მადლობით მიიღებს თვით ქ-ნი შჩერბინინა და ჩიტიშვილს გადასცემს ადრესი: ქალაქის სამკურნალოს დიდუბის განყოფილება; ექიმ-ქალს ქ-ნ შჩერბინინას. დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე.

*** ხვალ, ორშაბათს, 6 სეკდემბერს, ტფ. სათავად-აზნაურო სასწავლებელში დაიწყება სწავლა.

*** ტფილისში ჩამოვიდა და 9 სეკდემბრიდგან ორსავე სქესისათვის სტენოგრაფიის კურსებს დააარსებს ცნობილი სტენოგრაფი მ. ა. პოლტორაკი. სწავლება იქნება როგორც დილაობით, ისე საღამოობითაც (სხვა და სხვა დაწესებულებაში მსახურთათვის). კურსები გასტანს 25 დეკემბრამდე.

*** საქალაქო სახელოსნო სასწავლებელში პარალელური კლასები წელს არ დაიხურება. სულ ამ სასწავლებელში პირველ კლასში შესვლის თხოვნა მიუცია 140 კაცს, ხოლო მიუღიათ 71. სულ ამ სასწავლებელში სწავლობს 195 მოწაფე.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობამ 2 სეკდემბერს განიხილა ქალაქის მოურავის მოადგილის თავ. ჩერქეზიშვილის განცხადება უღარიბეს მცხოვრებლებზე დარჩენილ 20,000 მანეთის პატიების შესახებ. როგორც ვუწყით, საბჭომ დაადგინა, ეპატიოს 20,000 მანეთი ღარიბ მცხოვრებთ მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების აღსანიშნავად. თავ. ჩერქეზიშვილმა განაცხადა, მრავალი თხოვნა შემოაქვთ მცხოვრებთ ფულის პატიების შესახებ, მაგრამ არ ვიცით, ვინ უფრო ღარიბია; ამას გარდა, სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტებს მეტად უჭირთ გადასახადების მოკრება, რადგან მდიდრებიც აი აცხადებენ, გადასახადი გვეპატიაო. გამგეობამ, თავ. ჩერქეზიშვილის მოხსენების თანახმად, დაადგინა დაავალეს სავაჭრო-სამრეწველო პოლიციის აგენტებს, ერთის კვირის განმავლობაში შეადგინონ და წარუდგინონ გამგეობას სია ქალაქის იმ უღარიბეს მცხოვრებთა რომლებზედაც ითვლება გარდასახადის დასაფასებელ ცხენებისა და სამკურნალოს დარჩენილი ფული. ეს სიები შემდეგ გადაეცემა კომისიას შესამოწმებლად. ამ ცნობების მოკრების შემდეგ დასაფასებელისა და ცხენების გადასახადის დარჩენილი ფული ეპატიება უღარიბეს მცხოვრებთ, ხოლო დედათა სამკურნალოში ნამყოფებზე დარჩენილი ფული სულ იქნება ნაპატიები.

## საქართველოს ამბები

ქუთაისიდგან «ნოვ. ობოზ.»-ს შემდეგსა სწერენ: «საეპარქიო სამღვდელოების კრებაზედ დადგენილ იქმნა, გაეგზავნოს მათ უდიდებულესობათ მემკვიდრე ცესარევიჩისა და დიდის მთავრის ალექსი ნიკოლოოზის დაბადების გამო მისალოცი დეპეშა და ამასთანავე ვიშუამდგომლოთ: ეპატიოთ ქუთაისის სასულიერო სემინარიის მოწაფეთ დანაშაული, რომელმაც გამოიწვია სემინარიის გაუქმება, და ნება მიეცეს იმერეთის სამღვდელოებას ხელახლა დააარსოს ქუთაისში სასულიერო სემინარია მემკვიდრე ცესარევიჩის სახელობაზედ. კრებამ ამოირჩია დეპუტაცია სამის წევრისაგან დეკანოზ ღამბაშიძის მეთაურობით. ამ დეპუტაციამ უნდა პირადად წარუდგინოს ხელმწიფე იმპერატორს იმერეთის შუამდგომლობა ქუთაისში «ალექსის» სახელობის სემინარიის დაარსების თაობაზედ».

◆ 1-ლ სეკდემბრიდან სოხუმში უკვე დაარსდა რეალური სასწავლებელი საერო განათლების სამინისტროს უწყებისა.

—

**ლობანიერი.** პირველს სეკდემბერს, საღამოს 6 საათზედ, დაბ. სამტრედიიდან მომავალ ტოპანიერის ეტლს (დილიჟანს), როდესაც გამოვიდა ბორნით მდ. რიონში და გამოიარა ერთი ვერსი, ხუთი, ბერდანის თოფებით შეიარაღებული, ავაზაკი გამოუვარდა სიმინდის ყანებიდგან, ეტლი გააჩერეს. ეტლში ისხდნენ, მეეტლეს გარდა, 14 მოგზაური. ავაზაკებმა გადმოყარეს ეტლიდგან მოგზაურები, დაუმიზნეს თოფები და მიაძახეს: „აბა, ჩქარა, ფული, ფული ამოიღეთ და აი იქ დაჰყარეთ!" რაღა ჯანი ჰქონდათ, ყველამ მოძებნა ქისა და შეასრულა ავაზაკების ბრძანება. ვისაც რა ჰქონდა, გადისროლა. თუ ვისმეს შეუგვიანდა ფულის ამოღება, მიაყვირეს: „ჩქარა, თორემ მოგკალი, ეს არისო!" შემდეგ წაართვეს ნივთები. ერთი მოგზაურთაგანი, რომელიც ეტლის სახურავზედ იჯდა, გადახტა, შევარდა სიმინდებში და მოჰკურცხლა. მას დაედევნა ერთი ავაზაკთაგანი, ორჯელ მიაყოლა თოფი, დაეწია და წაართვა სამას მანეთამდე, ტყვია არც ერთი არ მოჰხვედრია. დანარჩენ მოგზაურებისაგან წაიღეს 200 მანეთზედ მეტი, ერთი ვერცხლის და ერთიც ოქროს საათი. მღვდელს ამ. მამფორიას, ფულს და საათს გარდა, წართვეს ჯვარი. გაძარცვის შემდეგ ავაზაკებმა ისევ უბრძანეს მოგზაურებს: „ჩასხედით ეტლშიო". თვითონ კი სიმინდებში მიიმალნენ.

დ-ლი ბზვანელი.

—

## ჟურნალ «მოგზაურის» პედაგოგიური ნაწილი.

ჩვენს მწერლობაში ხშირად გამოთქმულა იმისთანა აზრი, რომ ჩვენი საზოგადოება მომავალ თაობათა კანონიერად აღზრდის საქმეს ან სრულიად გულგრილად უყურებს და ან არ აქცევს ისეთს ყურადღებას, რომლის ღირსიც არის ეს ფრიად საჭირო და საზრუნავი საგანიო.

რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართველი ერი უზრუნველი შეიქმნა გარეშე მტრებისაგან და მათი მოგერება საჭირო აღარ იყო მისთვის. ამ მყუდრო ცხოვრებაში ქართველ ერის უმთავრესი საზრუნავი უნდა ყოფილიყო ხალხის განათლება, მისი ზნეობრივად და ქონებრივად ამაღლება-განსპეტაკება, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ კანონიერის, ეროვნულს ნიადაგზე დამყარებულის სწავლა-აღზრდის წესების დაცვის საშუალებით, მაგრამ გავიდა მთელი საუკუნე ისე, რომ სხვა-და-სხვა მიზეზთა გამო დღემდის ვერ შეგვიქმნია ჩვენებურს ნიადაგზე აღმოცენებული ნამდვილი და მკვიდრი საერო პედაგოგია.

მართალია, თითო-ოროლა ჩვენებური პედაგოგთაგანი დიდის თავგამოდებით ემსახურება ამ წმინდა საგანს და, ჩვენის ერის საბედნიეროდ, მტკიცედ უჭირავთ ხელში ქართულ პედაგოგიის დროშა, მაგრამ, ჩვენდა სავალალოდ, თითო-ოროლას ჩვენს შორის მოსდევს ათი და ოცი ან უკუღმართ აზრთა მოქადაგენი და ან ამგვარისავე მიმართულების მექომაგენი, რომელნიც სიტყვით, საქმით და მწერლობითაც მხარს უჭერენ ისეთს ცრუ და მავნებელ მიმართულებას, რომელსაც სრულიად ადგილი არ უნდა ჰქონდეს პედაგოგიის მეცნიერების წმიდა ტაძარში. რასაკვირველია, ერთი და ორი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს, თუ სხვებიც არ მოჰყვნენ და ხმა შეწყობილად, შეერთებულის ძალ-ღონით არ შეუდგებიან ზრუნვას საუკეთესო მერმისის გაზაფხულის მოყვანისათვის. ჩვენებურ პედაგოგიურ ასპარეზზედ მოღვაწეთა შორისაც უფრო საჭიროა მკვიდრი ერთობა იმ დროსა და გარემოებაში, რომელშიაც იმყოფება დღეს ჩვენი ერი; ეს ერი დღეს მოკლებულია ისეთს სპეციალურს დრო-გამოშვებით გამოცემასაც, რომელსაც შესძლებოდა გონიერ პედაგოგიურ აზრების გავრცელება მკითხველ საზოგადოებაში, ოჯახსა და სკოლებში.

ამ აზრის აზრის ცოტად თუ ბევრად განხორციელება შესაძლებელი იქნებოდა საყმაწვილო ჟურნალთან პედაგოგიურის დამატების დაარსებითაც, მაგრამ, როგორც წინადაც ბევრჯელ მოგვიხსენებია, სხვა და სხვა მიზეზთა გამო, ამის განხორციელებაც ჯერ-ჯერობით შეუძლებელი გამხდარა. ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში დღეს ყველაზე უფრო მეტი ადგილი საპედაგოგიო შინაარსის წერილებს დათმობილი აქვს ჟურნალ «მოგზაურსა» და და მის დამატებაში, სადაც ბლომად შეხვდებით, როგორც ნათარგმნს, ისე ორიგინალურ წერილებსაც პედაგოგიურის მწერლობიდგან.

მწერლობა საზოგადოდ ძრიელ მოგვაგონებს ბაზრობას, სადაც მრეწველს, მხვნელ-მთესველს და ხელოსნებს გააქვთ თავიანთი ნაწარმოები გასასყიდლად, აგრედვე მწერლობაშიაც მწერალს გამოაქვს გასასაღებლად თავის გონების ნაწარმოები და ცდილობს მუშტარი მოუპოვოს, თანამოაზრენი შეიძინოს. აქ ორსავე შემთხვევაში ფრიად საჭიროა საგნის თვისებათა ცოდნა, დაფასება, რომ მყი-

---

# ფელეტონი

## „რაცხა".

### ოდურგელას ამბავი

ამ ოცდა ათის წლის წინეთ რომ «კოლო-ბუზებმა» «ლომ-სპილოებს» კამათი დაუწყეს შაირებით, მაშინ ერთმა ბოპოლა მოკამათეთაგანმა (მის თვალში) ჰიანჭველა-მოპირდაპირეს მუქარა მისწერა და შემდეგი პასუხი მიიღო: «მარადის ძლევამოსილო, დიდებულო ბატონო! თქვენი მედიდური, მრისხანე წერილი მებოძა მე, თქვენგან ათვალწუნებულსა და არარად ჩაგდებულს მონა-მოსამსახურეს. გებრძანათ «იგულისხმეო» და მეც ვიგულისხმე და გამეცინა!.. დალოცვილო! ჩვენ გვეწამებით ურწმუნოებას და თქვენ კი დაგვიწყებიათ ზეციური ჭეშმარიტება: «ყოველი მოქადული უსუსურ არს!» ნუ თუ არ მოგეხსენებათ, რომ არც დიდი და არც პატარა არ არსებობს თავის თავად და მხოლოდ ჩვენივე შედარებითი წარმოდგენაა? მართალია, ამ ჩვენს წვრილმან ცხოვრებაში ყოველგვარ ნიჭის ძლიერება ზედ მეტი ძალაა, განგებისაგან ათასში ერთ რჩეულთაგანისადმი მინიჭებული, და ქვეყნის თვალშიც დიახ საფასური, მაგრამ ნიჭიც არის და ნიჭიც!.. ერთგვარი ნიჭი არის ნაყოფიერი და მეორე უნაყოფო. პირველი მათგანი საზენაო და საუკუნო!.. ქვაკუთხედათ სიმართლე, სიყვარული და მშვიდობა-სათნოება უძევს. მეორე კი საუკუღმართოა, უქვაკუთხედო და უნაყოფო. ერთი ღვთაებრივი, საზენაო და მეორე-დემონიური, საქვესკნელო! არც ერთი და არც მეორე არ აძლევს ადამიანს უფლებას, რომ თავი მოჰქონდეს და სხვას არარავის აღარაფრად აგდებდეს... გაიხსენეთ, რა გამოდგა გოლიათის მედიდურობა პატარა მწყემსის შურდულთან. სამსონ ძლიერი, ვირის გამხმარ ცალიყბით ათი-ათას ფლისტიმელთა გამწყვეტი, ერთი უძლური დედაკაცის მაკრატელმა შეჰკრა-შეკოჭა?.. სადღა არის ცამდი თავმიტანილი უდიერი ბაბილონის გოდოლი, მაშინ როდესაც პატარ-პატარა მაღლიან ტაძრების ნაშთებს დღესაც კიდევა ვხედავთ?!.. მე როგორც პოეტს, ოცნების შვილსა და მონას, შეგიძლიათ მიკიჟინოთ: ეგ ხომ საიგავ-არაკო ბიბლიური ზღაპრებიაო? და მე მაშინ დღევანდელზე მიგითითებთ, რაიცა თქვენც და მეც, ორივეს გვინახავს, გაგვიგონია და ვიცით.

ხიზაბავრელი დიდი გამოჩენილი მოჭიდავე იყო. გვერდი ვერავის დაუდებინებია მიწაზე. მოვლილი ჰქონდა საქართველოს ყოველი კუთხე. თვითონ არავის უხირდებოდა და, პირიქით, თუ ვინმე გამოიწვევდა, ვინც უნდა ყოფილიყო, უარს არ ეუბნებოდა: როგორც ფალავანთა წესია, ახსენებდა ღმერთსა, გადიწერდა პირჯვარს, ეჯგერებოდა მოპირდაპირეებს გადაიყვანდა კისრულით ყირამალა, მაგრამ მერე თვითონვე წამოაყენებდა ზეზე. გადაჰკოცნიდა ძმურად და მეგობრულად გზას ულოცავდა ისე მეგობრულად და სიმდაბლით ექცეოდა მისგან გალახულებს, რომ შური და მტრობა გულში არავისა რჩებოდა. და ამან უფრო აამაღლა ხალხის თვალში მისი დევ-გმირობა. ის თუმცა დრმა სიბერეში მოკვდა, მაგრამ ეროვნულმა ოცნებამ უბრალო ჩვეულებრივი სიკვდილი რომ არ აკმარა, ამბობენ: «ოდა-სარაია ჩამოინგრა მიწის ძვრის დროს და იმან დაიტანაო!» მას შემდეგ გამოჩნდა მეორე მოჭიდავე კახელი «ოდურგელა». იმანაც დიდი სახელი მოიხვეჭა, ყველას ერეოდა, მაგრამ მის ჩიქობა-ვაჟკაცობას თანამგრძნობი არავინა ჰყოლია, თუმცა ყველას კი ეშინოდა მისი და ერიდებოდა. ხშირად ოდურგელა ძალას!, უკადრისს ხერხსაც ატანდა და, ამას გარდა, ამბობდნენ კიდევაც, რომ ფანდს თუ შეხედა და ვერ მოერია, მოყიდულ მომხრეებს ეტანება ხოლმეო. მაგრამ ეს კიდევ არაფერია! მისი ნაკლი მისი თავგასულობა და ზვიადობა იყო.

«აღარავის აღარად აგდებდა!.. რომელ ხატობაზედაც უნდა მისულიყო, პირველობას ჩემობდა და გარეგან გაბერილობით ეს უზარ-მაზარი გოლიათი ყველას თვალსა სჭრიდა და შიშის ზარსა სცემდა! ვინ გაუბედავდა გაჰყოლოდა საჭიდაოდ?.. მაგრამ ნათქვამია «კოკა ყოველთვის წყალს ვერ მოიტანსო». ერთხელ, «არბოობას» ერთმა ვიღაც ციდა-მტკაველა ელამმა და მარღმა კაცუნამ არაფრად ჩააგდო, არა თუ სხვასავით ქუდი არ მოუხადა. ეუცხოვა ეს თავხედობა ოდურგელას და ჰკითხ: ვინ ხარ და სადაური მასხარაო?.. მასხარაცა ხარ და ვიცინდარაცაო—უპასუხა ციდამტკაველა ბიჭმა,—თუ გულს გერჩის, გამოძანდი და მაშინ შეიტყობ, ვინცა ვარო! ა ბურთი და მოედანიო!.. მეც, ვანო გელიოზაშვილს მეძახიანო. ჯერ გაეცინა გოლიათს ციდამტკაველას მუქარა, მაგრამ ბოლოს კი, რომ აღარ მოუსვენა, გული მოუვიდა!... —ე, რა ცოდვას ჩამადენინებო? ახია, რომ ჭიასავით მიწაზე დავასრისო და ან ბურთივით წრეს გადავავლოო! —გავიდა და უგულოდ წაეპოტიალა... მაგრამ, ჰოი, საკვირველებავ,! გელიოზაშვილმა, მისვლის უმალვე, ჩააჩოქა ცალ-მუხლზე. ფეხი აუსხლტა ოდურგელას სველზეო—იფიქრეს მაყურებლებმა—და, როცა მშრალზე გავლენ, აქ-კი თოხლო კვერცხივით ჩაყლაპავს იმ საბრალოსაო. გადავიდნენ მშრალზე, მაგრამ აქაც გაუხტა-გამოუხტა გელიოზაშვილი. ხელიც არ მოაკიდებია, გაუძვრა-გამოუძვრა ლაჯებში, გამოჰკრა სალმა და ორივე მუხლებზე დასცა. «ვაჰ! ვაჰ. ვაჰ!.—«დაიძახა გაოცებულმა ხალხმა. შეკრთა მოულოდნელად ოდურგელაც და მოიკრიბა, რაც ძალი და ღონე-კი ჰქონდა, მაგრამ, ამპა, გაქაჩულია, საძრავობა აღარა აქვს!. ახლა ოდურგელა მხოლოდ იმასა სცდილობს გაუმაგრდეს როგორმე, სახელის გატეხის რომ არა რცხვენოდეს, აქამდი გაექცეოდა.. მოჰკურცხლავდა.. ახლა კი მარტო იმასა სცდილობს, რომ თავი არ გაალახვინოს ამ ვიღაცა ჰინკას. ფალავნობის წესით სანამ ზურგს არ დაადებინებს დედამიწაზე მოპირდაპირეს, ჯაბნადა არ ჩაითვლება! და გელიოზაშვილიც თუმცა ცხვირ-პირს აკვრევინებს მიწაში, ათრევს აზოზებს, გულმოცლით, მაგრამ გადაბრუნება კი უჭირს ამ აზმახის... ბოლოს ისიც შეიძლო. გაშხლართა პირ-ღმა და სულ ვარსკვლავები ათვლევინა! ამ ამბავს ვგონებ თვითონ თქვენც დასწრებიხართ, თქვენო ბრწყინვალებავ!. ამბობენ, ამ მარცხიან დღის შემდეგ ოდურგელა ჩახვდა ჭკუაში, გარეწრობაზე ხელი აიღო და ოჯახს დაუბრუნდაო... ამას მიტომ მოგაგონებ, ჩემო ხელმწიფევ, რომ თქვენც ოდურგელას ამბავი არ მოგივიდესთ ამ «კოლობუზებთან» ბრძოლის დროს!... გახსოვდესთ, რომ «კოკა ყოველთვის წყალს ვერ მოიტანს» და ნუ დაივიწყებთ ბუზისა და ლომის იგავ-არაკს,

მარად თქვენი მადიდებელი ერთი კოლობუზთაგანი აკაკი-ბაკაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დველი და მკითხველი არ მოსტყუვდნენ, თალლითი და გარეგნობით ბრჭყვიალა საგანი ბაჯაღლო ოქროების ფასად არ მიითვალონ. ამის მიხედვით ჩვენ საჭიროდ დავინახეთ გადაგვეთვალიერებინა ჟურნალ «მოგზაურის» ზოგიერთი ორიგინალიური პედაგოგიური წერილები, რომელნიც «მოგზაურის» ერთს თანამშრომელთაგანს მიაჩნია «ცოდნის სალაროდ ქართველ სოფლის მასწავლებელთათვის» (იხ. «მოგზ. № 7 და 8 1903.) და გამოვიკვლიოთ, თუ რამდენად აზის ხსენებულს წერილებს პედაგოგიურ მეცნიერების დაღი და რამდენად შეუძლიან შველა და დახმარება აღმოუჩინოს სოფლის მასწავლებლებს ბავშვების სწავლა-აღზრდის ფრიად მძიმე და საპასუხო საქმეში.

წარსულის წლის «მოგზაურის» დამატებაში, მეორე წიგნში, დასტამბულია წერილი შემდეგის სათაურით: «საზეპირო წიგნები და მათი მავნობლობა», ამავე საკითხს ეხება სხვა წერილებიც, რომელიც დასტამბულია «მოგზაურის» მე-VII და VIII №-ში: «საზეპირო და სხვა სასწავლო სახელმძღვანელო წიგნები პირველ დაწყებითის სკოლების მოწაფეთათვის», დედა აზრი ყველა ამ წერილისა ერთი და ევივეა. საზოგადო უარ-ყოფა და განდევნა სახელმძღვანელო ანუ სასწავლო წიგნებისა (учебниковъ) და სრულიადი უარის ყოფა რისამე ზეპირად დასწავლისა —ყოველივე საგნის სწავლება სიტყვიერად უნდა სწარმოებდეს თვით ბუნებისა, საგნებისა, სურათებისა და ყალიბების შემწეობითაო, ხოლო მის გარეითად ცნობილ მწერალთა და მკვლევართა თხზულებებს უნდა კითხულობდნენ მოწაფენი» («მოგზ. დამატ. წ. მეორე, გვ. 5 1902 წ.).

რომ თვალსაჩინოდ საგნების შესწავლას დიდი პედაგოგიური მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით პირველ დაწყების სკოლებში, ამის წინააღმდეგ არც ერთი რიგიანი მასწავლებელი არ უნდა იყოს, რადგანაც პესტალოციდგან დაწყებული და იმის წინადაც ყველა ქვეყნის პედაგოგები თვალსაჩინო სწავლებას ყოველთვის საპატიო ადგილს აძლევდნენ და დღესაც აძლევენ სკოლებსა და ოჯახებშიაც, მაგრამ სასწავლო წიგნების უარის ყოფა, ზეპირად სწავლების ვითომ და სრულად მავნებლობა, ჩვენის აზრით, დიდს უკიდურესობა ც ცალმხრივ მსჯელობას წარმოადგენს, ვიდრე საგნის წესიერად ყოველის მხრივ განხილვას, აწონდაწონვას და შემდეგ მსჯავრის დადებას, რასაც ქვემოდ უფრო ნათლად დავინახავთ.

დ. ბოცვაძე.

(შემდეგი იქნება)

# წერილი

## რედაქციის მიმართ

(პასუხად ალექსანდრე მაჭავარიანს).

დიდის ყურადღებით გადავიკითხე თქვენი წერილი ხელოსანთა ამხანაგობისა და ტყავეულობით ვაჭრობის დაარსების შესახებ. დიალაც რომ გამოსარჩენი და სახეირო საქმეა, მაგრამ არ ვიცი, ის საყვედური მე და ალექსანდრეს გვეკუთვნის თუ სხვასაც წილი უდევს. მაგალითად, ჩვენ, ქართველებს, ლიტონის სიტყვითა და ლათაიებით ლაპარაკი გვიყვარს და ჰაერში ბურბუშელის ზარბაზნები და სხვანიო.—ეს მათრახები, თუ დაუფიქრდებით, მარტო ჩვენ მოგვხვდა, რადგან ჩვენა ვთქვით ამ საგნის შესახებ ორიოდე სიტყვა გაზეთში და პასუხიც ჩვენვე უნდა ვაგოთ. საქმის დაწყება გვინდა. ბატო უსტა! მე სრულიად თანხმა ვარ თქვენის რჩევისა, მხოლოდ თქვენგან დასახელებული ჯანყარაშვილები, ჯანაშვილი, იაკობაშვილი და ნასყიდაშვილი შეითანხმე, შემოიერთე და მე სრულიად მზადა ვარ, ორის პაის ყიდვის გარდა, დავეხმარო ყოველის ძალღონით, მანქანებითა და შკაფებით, სანამდის ამხანაგობა წელს გაიმაგრებდეს, უსასყიდლოდ, უარარაოდ. ამ საქმის გამო კრების მოხდენასა თხოულობთ. დიდის სიამოვნებით, მაგრამ არა ჩემს სახელოსნოში, არამედ სახელოსნო გამგეობის სადგომში ოთხშაბათს, 8 ენკენისთვეს, რომელიც ყოვლად შესაფერი დროც არის. ამ კრებაზედ ვთხოვთ ხელოსანთა მოურავს ბ-ნ რაფაელოვს, ხელოსანთა უსტაბაშს ნასყიდოვს თავის ამხანაგებით და ყველა ხელოსანთ, ვისაც კი ამ საქმისათვის მართლა გული შესტკივა და უსაფუძვლოდ არ უყვართ ლაპარაკი, აგრეთვე ვთხოვთ სოფრონ მგალობლიშვილს, გრიგოლ ყიფშიძეს, ვალ. გუნიას და ყველა მცოდნე კაცთ, დაგვესწრნენ კრებაზედ დილის 9 საათიდან 11 საათამდის. იმედია, ყველა გულმტკივნეულად მოეკიდება ამ ფრიად კეთილ საქმეს და დაგვეხმარება, სიტყვით მაინც, თუ საქმით არა.

ხელოსანი ს. ბერძნიშვილი.

## შემოწირულება წ. კ. საზოგადოების სასარგებლოდ.

ერევნის გუბერნიაში მყოფ ქართველთ გადასწყვიტეს ყოფილის ვიცე-გუბერნატორ თავად მიხეილ ალექსანდრეს ძის ნაკაშიძისათვის გამოსათხოვარი სადილი გაეკეთებინათ, როცა იგი გადაყვანილ იქმნა ბაქოს გუბერნატორად, მაგრამ თავადმა სადილზე უარი თქვა, და მაშინ მისმა პატივის მცემლებმა გადასწყვიტეს, ის ფული, რომელიც სადილზე დაიხარჯებოდა, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის შეეწირათ, შეგროვილი ფული სამას ორმოცდა თექვსმეტი მანეთი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ უკვე მიიღო (კვიტანცია № 141, 25 ივლისს 1904 წ.)

სია შემომწირველთა.

1) არონიშიძე—3 მ., 2) ბადრიძე მიხეილ ივანეს ძე—5 მ., 3) ბადრიძე გიორგი ივანეს ძე—5 მ., 4) გოგავა ლუკა იაგორის ძე—5 მან., 5) ზედგინიძე მიხეილ სიმონის ძე—5 მან., 6) ზედგინიძე ივანე ნიკოლოზის ძე 6 მან., 7) კასრაძე ნიკოლოზ 3 მან., 8) მიქელაძე სოლომონ გიორგის ძე 5 მან., 9) მიქელაძე ლევან ბესარიონის ძე—3 მან., 10) ფარეიშვილი სერგეი მიხეილის ძე—3 მ., 11) ხოშტარია დიმიტრი თომას ძე—5 მ., 12) ჰიჰინაძე ალექსი ბესარიონის ძე—5 მ., 13) ფიცხელაური მიხეილ იოსების ძე 5 მ., 14) ჩხეიძე გიორგი გიორგის ძე 10 მან., 15) ქდენტი ბაგრატ გიორგის ძე—5 მ., 16) სიდავა იოსებ დავითის ძე—5 მ., 17) სარაჯიშვილი—5 მ., 18) საყვარელიძე—5 მ. 19) იორდანიშვილი (დეკანოზი)—6 მან., 20) დგებუაძე—10 მ., 21) ალექსანდრე ივანეს ძე ოლანოვი—5 მ., 22) კიკნაძე—3 მან., 23) თოფურია 5 მან., 24) ლოლობერიძე გიორგი—5 მ., 25) ედილაშვილი—5 მ., 26) სანაკოევი—1 მ., 27) კანდელაკი—1 მ., 28) ნადირაძე პავლე—3 მ., 29) ნადირაძე ლუარსაბ გერასიმეს ძე—10 მ., 30) ჩერქეზიშვილი ნიკოლოზ ბაადური ძე—10 მ., 31) დუმბაძე მელიტონ ანტონი ძე—10 მ., 32) მამულაიშვილი მიხეილ ალექსადრეს ძე—5 მან., 33) ჩალამ გიორგი (მღვდელი)—3 მ., 34) გრძელიშვილი ანდრონიკე ზაქარიას ძე—15 მ., 35) გომელაური ანდრია სოლომონის ძე—5 მანეთი, 36) დავითაია ვლადიმერ გიორგის ძე—10 მან., 37) ლომინაძე ბესარიონ კონსტანტინეს ძე—10 მან., 38) შენგელია ეპიფანე გიორგის ძე—10 მ., 39) ლოლობერიძე დავით ლევანის ძე—10 მან., 40) ჩიმაკაძე ლონგინოზ ანტონის ძე—5 მ., 41) ნაკაშიძე კონსტანტინე მელქისედეგის ძე—5 მან., 42) შატბერაშვილი მიხეილ ალექსანდრეს ძე—5 მან., 43) დათეშიძე დავით ნიკოლოზის ძე—20 მანეთი, 44) პყონია ილია მირიანის ძე—25 მ., 45) აგიაძე სვიმონ—3 მ., 46) აგიაძე ალექსანდრე (მღვდელი)—2 მ., 47) ჩხეიძე ანდრია—5 მ, 48) მძინაროვი კონსტანტინე მაქსიმეს ძე—3 მ., 49) ბახტაძე ერმილე იოსების ძე—5 მ., 50) ცალქალამიძე ზაქარია მიხეილის ძე—3 მ., 51) პეპულაშვილი სვიმონ (მღვდელი)—3 მ., 52) ქეიშვილი ილარიონ ბუდუს ძე—5 მ., 53) ლეჟავა პლატონ დარისპანისძე—3 მ., 54) ძოწენიძე იაკობ სპირიდონის ძე—5 მ., 55) ვარდიევი მღვდ—5 მ. 56) გვახარია—5 მან., 57) ლორთქიფანიძე იოსებ ბექანის ძე—5 მან., 58) ხუნდაძე ერმილე სოფრონის ძე—5 მან., 59) სარაჯიშვილის ქარხანაში მომუშავენი—5 მან., სულ 356 მან.

## „ივერიის“ ფოსტა

ქ—ხს. ფ. ლს. ლექსებსა და სიტყვას ვერ ვბეჭდავთ. სამწუხაროდ.

კ—ახ. თქვენი ლექსი «მაშიკო» არ დაიბეჭდება. პირველსავე ტაეპში მარცვალთა რიცხვიც-კი არ არის თანასწორი.

მ.ნ.—ლს. თქვენი „რაჭაში მოგზაურობის დროს» არ დაიბეჭდება. ნუ დაგვენდურებით.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

3 სექტემბერი.

**ოტტავა.** (კანადა), 2 სექტემბერი. იუწყებიან, იაპონიის მთვრობას მოლაპარაკება აქვს და უნდა შეიძინოს მონტანსა და კანადაში იქაური ცხენები (პონი) საზამთროდ მანჯურიის ლაშქრისათვის; ეს ცხენები ერთობ ძრიელ გამძლეა და იაფიც; ასე გასინჯე, ერთობ ცივს და ტეხვრა ზამთარში ბოსელი არ უნდათ.

**კოპენჰაგენი**, 2 სექტემბერი. საიდუმლოდ მოსული იაპონელი, გამოჩნდა ერთერთ სასტუმროში ტაჰკიკავოს სახელითა და რამდენიმე დეპეშა გაუგზავნა ბერლინს იაპონიის საელჩოსა. 2 სექტემბერს ის მივიდა სკაგენს. პოლიცია მუდამ თვალყურს ადევნებს.

**ბერლინი**, 3 სექტემბერი. პოლკოვნიკი გედკე 2 სექტემბერს ტელინიდგან დეპეშით იწერება: კუროპატკინის უკანდაწევა ლიაოიანიდგან აღმოსავლეთად საუცხოვოდ შესრულდა, ასე რომ კუროპატკის ლაშქარიც კი ხიფათში ჩაავდო. იაპონელთ ვერ გაბედეს რუსების პოზიციაზე მუკდენის სამხრეთად იერიშის მიტანა, რადგანაც დიდი ზარალი მოუვიდათ. ეხლა, როგორც სჩანს, იაპონიის ლაშქარი აღმოსავლეთისკენ არის და ვაკეს გაერიდა. იაპონელთა ზარალი ბევრით მეტია იმაზედ, რაც იმათ ოფიციალურად გამოაცხადეს. ჯერ ლიაოიანის გარეშემო დახოცილნი სულ არ მოუგროვებიათ. 14 ათასამდე რუსების დაჭრილნი ხარბინს გაჰგზავნეს. საომრად მზადება რუსეთისა მუკდენის სამხრეთად და აღმოსავლეთად შეურყეველია. ლიაოიანთან ბრძოლას საბოლოოდ არ გადუწყვეტია მეომართა ბედი.

**ვაშინგტონი.** (რეიტერი). «ლენის» კაპიტანმა ბერლინსკიმ სურვილი განაცხადა გემის იარაღის აყრისა და აუწყა ეს ადმირალ გუდრიჩსა. სახემწიფო დეპარტამენტის მდივანმა მიიღო რუზველტის დეპეში, რომელმაც მოუწონა იმას «ლენას» დაკავება, და დეპეშით უბრძანა, რუსის გემი დააკავეთო. რუსის საელჩოს მდივანმა სიამოვნებით გამოაცხადა, რომ ამერიკის მთავრობამ გადასწყვიტა «ლენას» იარაღის აყრა.

**ვაშინგტონი.** (რეიტერი). პრეზიდენტმა რუზველტმა ნება დართო შეაკეთონ «ლენა» იარაღის აყრის შემდეგ. კაპიტანმა ბერლინსკიმ ხელი მოაწერა იმ ქაღალდს, რომელშიაც ნათქვამია, რომ „ლენა“ ომის გათავებამდე სან-ფრანცისკოს დარჩებაო. აფიცრებმა და მეზღვაურთ უნდა პატიოსანი სიტყვა დასდონ, რომ ნავსადგურს არ გასცილდებიან, მინამ ამერიკის მთავრობა რუსეთის და იაპონიის მთავრობებთან ერთად არ გადასწყვეტს იმათს ბედსაო.

**შანჰაი.** (რეიტერი). იაპონიის მთავრობამ მაკ-ლივი-ბრაუნი დანიშნა კორეის ტამოჟნების დირექტორად.—იაპონელებმა ლიაოიანში წესწყობილება აღადგინეს და დუქნები გაალებინეს. ჯარისაგან ბაზარში დატრიალებულს ფულს დაუყოვნებლივ იღებენ. იაპონელებმა დავლად აიღეს 21 ვაგონი დიდძალის საკვებითა. დამარხეს 1,300 მარჯვენა ფრთის ლაშქრის რუსი, 800 შუბლისა და 1,000 მარჯვენა ფრთისა.—მუკდენის მხრიდგან არავითარიმე მოძრაობა არ სჩანს. ორი რუსის დივიზია და ერთი ცხენოსანი რაზმი მდინარე ხუნის სამხრეთად არის.

**ტოკიო.** (რეიტერი). ხალხის ყურადღება ჯერ ისევ პორტ-არტურზეა მიპყრობილი, სადაც ხელ-ახალ მოქმედებას შეუდგება იაპონიის ჯარი. საქმის მცოდნენი დარწმუნებულნი არიან, რომ ომი ჯერ გვიან გათავდებაო.

**ტოკიო.** (რეიტერი). ოიამამ ფორმალური და ბეჯითი ბრძანება მიიღო, წინსვლა განაახლის და საერთო იერიშით მივიდეს რუსის ლაშქარზე ზამთრის დადგომამდე. თუ რუსები დაიწევენ, ოიამა გამოეკიდება იმათ სამთავე ლაშქრითა. ეს ბრძანება, რომელიც, როგორც ამბობენ, თვით მიქადომ გამოსცა, იმის შედეგია, რომ იმათ ჩაეშალათ დაწყობილობა, ოიამასაგან შემუშავებული, რომელსაც აზრად ჰქონდა, გარს შემორტყმოდენ ლიაოიანთან რუსის ლაშქარსა. კუროპატკინის მოხერხებულმა უკან დაწევამ ძალიან გაამწარა იაპონიის მთავარი შტაბი. ოიამამ ადრინდელი სახელი, რომელიც ამ ომში ხალხის თვალში დაჰკარგა, უნდა აღიდგინოს. ამჟამად იაპონიის მანჯურელი ლაშქარი მთლად მოქანცულია. იაპონიის ჯარის-კაცს საჭმელი აკლია. რავდენიმე კვირა გავა კიდევ, მინამ იაპონიის ლაშქარი შესძლებდეს საერთო წინწაწევასა. ირწმუნებიან, 1 ოკდომბერზე ადრე იაპონიის ლაშქარს 100 ათასამდე ახალი ჯარი მიემატებაო, 100 ზარბაზნით. ეს ჯარები მოუკრებიათ ჩრდილო კუნძულ იეზოდან, რომელნიც ცივ ზამთარს შეჩვეულნი არიან.

**ტიანძინი.** (რეიტერი). სარწმუნო წყაროდან იუწყებიან, ბარონ კომურამ ნოტა დასწერა, რომელშიაც ნათქვამიაო, რომ პორტ-არტურის აღების შემდეგ ჩინელებს დაუბრუნდებათ, და ფიქრობენ ჩინელები იმას საერთო ნავსადგურად აღიარებენო. იმავე წყაროდან იუწყებიან, იაპონელებს მუკდენის აღების შემდეგ სახალინის აღებაც უნდათო, შემდეგ ისინი სამშვიდობო პირობებს მიიღებენ, რომლის ზოგიერთი მუხლნი შემდეგია: მანჯურიის რკინის გზას ყური უნდა უგდოს საერთაშორისო სინდიკატმა, რუსეთი გადუხდის ას მილიონ გირვანქა სტერლინგსა და დაუთმობს იაპონიას მთელ თავის გემებს, რომელიც კი ჩინეთის წყლებზეა.

**შანჰაი.** (რეიტერი). პორტ-არტურიდან ცნობაა, პირველი დივიზია იაპონელთა მოქმედობს, ციხესთან დასავლეთიდან, მე-9 გულში მოქმედობს, 11-ე დივიზია აღმოსავლეთით. მე-7 არტილერიის პოლკის ყველა აფიცრები დახოცეს და დასჭრეს. სხვა პოლკები კი ცოტა ამაზე ბედნიერნი იყვნენ; ერთ პოლკში დარჩა მხოლოდ 3 პოდპორუჩიკი; სხვა პოლკებში მხოლოდ უნტერ-აფიცრები დარჩნენ; იაპონელებმა დაიჭირეს ფორტი პალიჯუანი ეშმაკობითა: ორი ჯარის-კაცი შეუმჩნევლად მიჩოჩდენ რუსის თხრილებთან, გადააგდეს შიგ რამდენიმე ყუმბარა და ისეთი ხოცვა ასტყდა, რომ რუსებმა უკან დაიწიეს.

**მუკდენი**, (რეიტერი). რუსის ლაშქარი ამჟანად შეიყარა მუკდენში. ვაჭრობა ჩვეულებრივად დაიწყო; ქალაქში სიწყნარეა; რუს-ჩინეთის ბანკი ხელ-ახლად გაიხსნა. აქ უკვირთ, რომ იაპონელნი არ დაედევნენ; მიზეზი ის არისო, რომ ათის დღის წინად 40 ათასი კაცი დაჰკარგესო და ერთიან მოქანცულნი იყვნენო. ხმაა, იაპონელნი ლიაოიანის გარშემო სიმაგრეებს აკეთებენ და შეაკეთეს მდ. თაიციხეზე გადებული ხიდიო.

**უფა.** გამოიარა «გრომობოის» კომანდირმა ფლიგელ-ადიუტანტმა დაბიჩმა, რომელმაც ზღვაზე ბრძოლაში 17 ჭრილობა მიიღო.

**კოპენჰაგენი.** იაპონიის ფლოტის კაპიტანმა ტაკიხავამ ამ დღეებში ნახა ქალაქები კორზერი და ნიბორგი, აგრეთვე კონცხი სკატენი და საღამოზე გერმანიას წავიდა. პოლიცია მუდამ თვალყურს ადევნებდა.

**ჩიფუ**, (რეიტერი). 26 და 28 აგვისტოს შუა იაპონელებმა აიღეს იერიშით ფორტი, რომელიც მდებარეობს სერზე, ოქროს მთიდან ორს მილზე, აღმოსავლეთად. ბრძოლა დიდი არ ყოფილა. იაპონელებმა შეინარჩუნეს ოქროს მთაზე ფორტი, რადგან უხეირო წამლით ესროდენ ზარბაზნებსა. ზოგი ყუმბარა მიზნამდე ვერ უწევს და არც სკდება. ეს ამბავი მოიტანა ერთმა ჩინელმა, რომელიც პორტ-არტურთან 29 აგვისტოს გამოსულა. იმანვე სთქვა, იაპონელებს ხვრელი გაჰყავთ რუსების სიმაგრეების ქვეშ და სწადიათ ააფეთქონ ისინი, ძნელი სამუშაოა, მძიმედ მიდის მუშაობა და შესაძლებელია, ვერ შეასრულონ. რუსებმა ყველა სახლს ქვეშ, რომელიც კი იაპონელებს გამოადგებათ, ნაღმი ჩააწყეს და ააფეთქებენ იმათ, შემოვლენ თუ არა ქალაქში.

**გოუზაბანძი.** სინმინტინის რკინის გზის გაყოლება არც ერთი იაპონელი არა სჩანს. რუსებს შარა გზა უჭირავთ მუკდენიდან სინმინტინისაკენ და მარჯვენა ფრთას იფარავს მთელი კორპუსი. იაპონელებს ახალ-ახალი ჯარი მოჰყავთ ნიუჯუანს და ზემოდ გზანიან. ლიაოიანთან ბრძოლის შემდეგ რამდენიმე კორესპონდენტი აგენტი წავიდა იაპონიის ლაშქრიდან; რუსის ლაშქრიდანაც წავიდნენ ზოგიერთი კორესპონდენტები. მკვიდრნი სამხრეთისაკენ მიდიან. მკვიდრთ საზოგადოდ არა ვნებიათ-რა ომისაგან, იმათ კარგი მოსავალი მოუვიდათ და რუსებისაგან კარგი შემოსავალი ჰქონდათ.

4 სექტემბერი.

**ხარბინი.** ჩვენგან გადაყრილი თხრილებსა და ფორტებში რევოლვერის ტყვიები დუმ-დუმის ტყვიებად მოეჩვენათ. ეს იმიტომ გაახვიადა იაპონელთა მთავარსარდალმა, რომ ცოტა შეესუსტებინა იაპონიაში ის გავლენა, რაც მოახდინა ბრძოლის ნამდვილმა აღწერამ.

**ხარბინი.** (საკ. კორესპ.) ამ ბოლო დროს შებრძოლება არ ყოფილა. საფუძველია ვიფიქროთ, რომ იაპონიის ლაშქარი წინ წამოსაწევად ემზადება.

**შანჰაი.** (რეიტერი). «ნირდ. ჩაინა დეილი ნიუსში» დაბეჭდილია ერთი ჩინელის წერილი, რომელსაც პორტ-არტურის ინტენდანტსტვოში უმსახურნია 1897 წლიდან ამ წლის აგვისტომდე. ის ამბობს თებერვალში ინტენდანტსტვო აძლევდა 30 ათას კაცისათვის საზრდოსაო. როცა ჩინელი ციხიდან წამოსულა, მაშინ მხოლოდ 15 ათას კაცს ეძლეოდა, ულუფა მეზღვაურთ იმდენი დარჩათ, რომ მხოლოდ ხუთს კვირას ეყოფათო.

**ჩიფუ.** (რეიტერი). ის ჩინელი, რომელმაც მიიტანა ამბავი 26—28 აგვისტოს იაპონელთაგან სიმაგრის აღებისა, ამბობს, რუსის ნაღმოსანს, რომელსაც აკერებდნენ, მოხვდა იაპონიის ყუმბარა და მთლად დაზიანდა. ეს ყუმბარა გამოისროლა იაპონიის ფლოტმა, რომელიც ციხეს მიუახლოვდა და ყოველ დღე რამდენსამე ყუმბარას ისვრის. ამ ყუმბარებით დოკში რავდენიმე მანქანა გააფუჭეს, მოჰკლეს აფიცერი და ორი ჯარის-კაცი. ის ფორტი, რომელიც იაპონელებმა აიღეს, უმნიშვნელოა პორტ-არტურისათვისაო. რუსებმა სუსტი წინააღმდეგობა გაუწიეს ამ ფორტის აღების დროს. აქედან სჩანს, რომ მხოლოდ წინა სიმაგრეა აღებული. იგივე ჩინელი ამბობს, ზარბაზნები მთლად გემებიდან, 25—30 სანტიმეტრიანი ზარბაზნების გარდა, ხმელეთზე გადაიტანესო.

**პარიჟი**, 3 სექტემბერი. იაპონელები მალე შეუდგებიან რკინის გზის გაყვანას სეულიდგან გენზანამდე. ფუზან-მოზამპოს რკინის გზის გაკეთებასაც ამ ორს კვირაში დაიწყებენ. კორეაში საერთოდ მთელი ბადე იქმნება რკინის გზისა და ამით ომის გათავების დროს საბუთი მიეცემათ კორეის მზრუნველობის უფლება ითხოვონ.

იაპონიის ელჩმა გაიამმა ლონდონში სთქვა, ძალიან სცდებიან, ვინც ამბობენ, იაპონიას დიდის ხნის ომის ატანა არ შეუძლიანო, როგორც რუსეთსაო. შესაძლოა, დიდის ხნის ომმა ორივე სახელმწიფო ნივთიერად გააღარიბოს, მაგრამ შედეგი რუსეთისათვის უფრო საგრძნობელი იქმნება, ვიდრე იაპონიისათვისო, რომელიც თავის მომავლისათვის იბრძვისო. შემდეგი ომი ტელინთან იქმნება. ომი მთელს ზამთარს გასტანს. ბოლოს დროს იაპონიას უკეთესი საშუალება მიეცა ბარგის გადასაზიდავად, რაც ჩრდილოეთისკენ წინ-სვლას უადვილებსო. პორტ-არტურს სიმშილით აიძულებენ იარაღი დაჰყაროს, თუმცა მეტს ხანს მოუნდებიანო. ც ხე რომ დაემხობა, 50,000 მეომარი გახთავისუფლდება, რომლებიც ჩრდილოეთისკენ გაიგზავნება, თუმცა იაპონიის ლაშქოებს მიშველება არა სჭირდებათო.

**ბერლინი.** «ბერლ. ლოკალ.» ცნობები მოსულია მუკდენიდგან, იაპონელებს ძალიან ცოტა ჯარი ჰყავთ ლიაოიანში, ძომეტებული ნაწილი კი იანტაისთან არისო. როგორც ამბობენ, მეოთხე ლაშქარსაც ადგენენ, რომელიც კუროკის მარჯვნივ იმოქმედებს და რუსის მარცხენა ფრთას გარს შემოუვლისო. ამ ლაშქარში სამი დივიზია იქნება. იაპონელები იმიტომ შეჩერდნენ, რომ დიდი ხანი მიეცათ და ტყვია-წამალი აკლიათო.

**მუკდენი.** 2 სექტემბერი (რეიტერი). ამბობენ, იაპონელები თავს გვესხმიანო; მათ დასახვედრად რუსებს დიდი ჯარი დაუმზადებიათ.

**პეტერბურგი.** ოფიციალური ცნობები შორეულ-აღმოსავლეთიდგან 3 სეკდებერს არ მოსულა.

**ზანზიბარი.** 3 სექდემბერი. «სმოლენსკი» და «პეტერბურგი» დარეს-სალამიდგან წავიდნენ სამხრეთისკენ.

**სტამბოლი.** 3 სექდემბერი. ინგლისის გემი «მარგიტ გრეტელი», ქვა-ნახშირით დატვირთული, რუსების კრეისერმა ტე-

რეკმა გააჩერა და ქალალდები გაუჩხრიკა ვიჟეტის კონცხასთან.

**სანფრანცისკო.** ამერიკელების კრეისერი ბოსტონი სან-ფრანცისკოდგან წავიდა რომ ათვალიეროს რუსისა ან იაპონიის გემები ახლო-მახლო ხომ არსად დადიანო.

**ლონდონი.** 4 სეკდემბერი (რეიტერი). ტოკიოდგან იუწყებიან, იაპონიის მთავარ შტაბმა განკარგულება მოახდინა, რომ მილიცია მოგროვდეს, რომელშიაც უნდა ჩაირიცხოს ყველა იაპონელი 30—40 წლისა, ვისაც კი იარაღის ტარება შეუძლიან.

**შანჰაი.** პორტ-არტურთან ხმელეთზე ყოველ დღეა ბრძოლა. რუსები ხშირად გამოდიან ციხიდან, იმათ აქნამდე უკან აბრუნებდნენ.

**ვაშინგტონი.** „რეიტერის საავენტოს“ კორესპონდენტმა ნამდვილი ამბავი მიიღო, რომ ის წყალქვეშ მავალი ნავები, რომელიც მასაჩუზეტში კეთდება, იაპონელებს შეუკვეთნიათო.

**მუკდენი.** (რეიტერი). ჩინეთის მთავრობამ ორთავ მებრძოლ ლაშქართა სარდლებს წინადადება მისცა და სთხოვა, მუკდენში ნუ იომებენ, არამედ სხვა ალაგას, რათა არ დაინგრეს ჩინეთის საიმპერატორო გვარეულობის სალმთო საფლავნი ფუ-ლინის სასაფლაოზე. უეჭველად მიაჩნიათ, რომ ორთავ ლაშქართ განზრახვა აქვთ თვისი ბედი და უბედობა გადასწყვიტონ ბრძოლით ვაკეზე, რომელიც მდ. ხუნის გაყოლებაზეა.

**თიანძინი.** იაპონიის მთავრობა დიდს მისაშველებელ ჯარს გზავნის პორტ-არტურისაკენ. ჯარები ნავთსადგურს ლუიზაში გადახტებიან.—ხმაა, კუროპატკინმა აუწყა პორტ-არტურის მეციხოვნეთა, რომ იმათ ერთს თვეს კიდევ უნდა შეიმაგრონ ციხეში თავი.

**შანჰაი.** ტოკიოდან ნამდვილად იტყობინებიან, მთავრობა ადგენს გეგმას პირველის ნაციონალურის ლაშქრის შედგენის შესახებ; ამ ლაშქარში იქნებიან 32 წლიდან 40 წლის ხნოვანებისანი. ფიქრობენ, შესდგება 8 დივიზია, ასე 120 ათასი კაცი, რომელიც ერთს თვეზე მზად იქნება ომში გასასვლელადაო.

---

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

---

## გამოსადეგი ცნობანი:

### პეტერბურგის ბირჟა

3 სეკდემბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,95 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,60 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | $37{,}47\frac{1}{2}$ |
| ბირჟის დისკონტი | $6—7\frac{1}{2}\%$ |
| 4% სახელმწიფო რენტა | 92 ნ. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | $88\frac{3}{4}$ ნ. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 388 ნ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 305 ნ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | $256\frac{3}{4}$ წვ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| $4\frac{1}{2}\%$ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| $4\frac{1}{2}\%$ ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | 89 ნ. გაყ. |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | 87 ნ. გაყ. |

## სია

ტფილისის ქალაქის სასანიტარო-აღმასრულებლ კომისიაში ჩარიცხული ექიმებისა, რომლებმაც უფასო სამკურნალო დახმარება უნდა გაუწიონ ღარიბ ავადმყოფთ

ავადმყოფმა უნდა მიჰმართონ საექიმო დახმარებისათვის რომელსამე ქვემოდ-აღნიშნულ ექიმთაგანს, მაგრამ სასურველია მიჰმართონ უფრო მახლობლად მყოფს.

**ალადაშვილი**, ალექსანდრე სტეფანეს ძე. იღებს ავადმყოფებს დილით 7 საათ.—9 საათ. საღამოთი 8 საათ.—9 საათ. ადრესი: ეგზარხოსის მოედანი, სინოდალურ კანტორაში.

**გედალინი**, ალექსანდრე გიორგის ძე. 10 საათ.—$11\frac{1}{2}$ საათ. (ცენტრალურ სამკურნალოში), საღამოთი 5 საათ.—7 საათ. სახლში, ბარონის ქუჩა, ავეჯეულის რიგი. სახლი თამამშევისა № 16.

**გეცელი**, ოტტო გიორგის ძე. დილით 7 საათ.—9 საათ., საღამოთი 7 ს.—9 საათ.

მიხეილის ქუჩა, მიხეილის საავადმყოფოს შენობაში.

**ჯანიბეგოვი**, ესტატე ნიკიტის ძე. დილით 7 ს.—9 ს., საღამოთი 7 ს.—9 ს.

სოლოლაკში, ამაღლების ქუჩა, სახლი № 17

**ელჩიევი**, მნაცაკან რომანოზის ძე. დილით 7 ს.—9 ს., საღამოთი 5 ს.—7 ს.

მიხეილის ქუჩა, სახლი № 111.

**ზაბლუდოვსკი**, იოსებ მათეს ძე. დილის 10 ს.—$11\frac{1}{2}$ ს. (კუკიის ქალაქის სამკურნალოს განყოფილებაში), საღამოთი 5 ს.—8 ს., სახლში:

გრიბოედოვის ქუჩა, სახლი № 40

**კასუმოვი**, ნიკოლოოზ გერასიმეს ძე. დილით 10 ს.—$11\frac{1}{2}$ ს., (ქალაქის სამკურნალოს კუკიის განყოფილებაში), საღამოთი 5 ს.—7 ს.

ალექსანდრეს ქუჩა № 36.

**მირზაევი**, მიხეილ ივანეს ძე. დილით 7 ს.—9 ს. საღამოთი 7 ს.— 9 ს.

კრასნოგორსკის შესახვევი № 8.

**საათსაზოვი**, ივანე თომას ძე. დილით 8 ს.—9 ს., საღამოთი 4 ს.—5 ს.

ალექსანდროვის ქუჩა № 6.

**თათევოსიანი**, ტიგრან მათეს ძე. დილით 9 ს.—1 ს. (ქალაქის სამკურნალოს ხარფუხის განყოფილებაში), 6 ს.—8 საათ. საღამოთი სახლში.

კრწანისის ქუჩა, სახლი თაიროვისა № 11

**ხატისოვი**, ნიკოლოოზ დავითისძე. დილით 7 ს.—8 ს. და საღამოთი 4 ს.—6 ს. აგრეთვე დილით 10 ს.—12 ს. სამკურნალოს ავლაბრის განყოფილებაში.

ბებუთოვის ქუჩა № 27.

**შახ-აზიზოვი**, არტაშეს ივანეს ძე. დილით 10—12 ს., საღამოთი $7\frac{1}{2}—8\frac{1}{2}$ ს. გონჩარნი ქუჩა, № 30 (ჩუღურეთში).

**შჩერბინინა**, ანნა ივანეს ასული. დილით 10—12. (ქალაქის სამკურნალოს დიდუბის განყოფილებაში), საღამოთი 4—6 ს სახლში,—ბაქოს ქუჩა, სახლი № 7.

---

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა ამ წლის 18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარეშ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.)

### ა) ტფილისიდან მიდის:

**ბაქოს**: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23. წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 9 ს. 10 წ. (10 ს. 8 წ.).

**ბათუმს**: 1) სწრაფი № 1 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 1 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.) 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.)

**ერევანსა და ყარსს**: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 31 წ. (3 ს. 29 წ.).

**ბორჯომს**: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 8 ს. (8 ს. 58 წ.).

### ტფილისში მოდის:

**ბაქოდან**: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 2 წ. (3 ს.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 52 წ. (6 ს 50 წ.); საქონ. სამგზ. № 17 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.).

**ბათუმიდან**: 1) წრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.), საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.); სამგზავრო № 6 საღამოს 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.).

**ერევან-ყარსიდან**: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 47 წ. (4 ს. 45წ.).

**ბორჯომიდან**: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს 18 წ.); სამგზავრო 9/10 საღამოს 9 ს 9 წ. (10 ს. 7 წ.).

### ბ) ბაქოდან გამოდის:

**ტფილის-ბათუმისაკენ**: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 12 ს. 53 წ. (1 ს. 51 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 37 წ. (7 ს. 35 წ.); 3) სამგზ. № 5. შუადღის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 საღამოს 1 ს. 10 წ. (2 ს. 8 წ.)

### გ) ბათუმიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 9 ს. 6 წ. (6 ს. 4 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 5 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.).

### დ) ქუთაისიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს 58 წ.); 3) დილის 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.).

**ბათუმისაკენ**: 1) ღამის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 2) საღამოს 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.); 3) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

**ყორაპანამდე**: № 45/44 ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

---


# განცხადებანი

6 სეკდემბერს 1904 წელს

**ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკში** საჯარო ვაჭრობით გაიყიდება საკუთრება ვასო ა. საბოსი ცარიელი მიწის ნაჭერი, ზომით 97 ოთხკუთხი საჟენი, ტფილისის მე-10 ნაწილში, დიდუბეში, ქუთაისის ქუჩაზედ, № 17. ბანკის ვალი 1625 მან. 75 კაპ., შესატანი გარდასახადი 121 მან. 60 კ.; სულ 1747 მან. 35 კაპ., ამ ფასით დაიწყება საჯარო ვაჭრობა. (1—1).

---

ქ უ თ ა ი ს შ ი
ს. ბ. თოფურიას
## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის **1 მანათიდან 3 მანეთამდე.**

---



**მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი**
**„ოდობრინი“ მ. ვ. ლებედევის“**

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და ის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში, (0 - 6—12)

---

„GRAND PRIX“
PARIS 1900.

Т—во Высшей
парфюмеріи
**А. Ралле и К°**

„Земляничное
Молоко“

---

გამოვიდა და ისყიდება ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში და სხვა წიგნის მაღაზიებში ტფილისში

**НАРОДНАЯ МЕДИЦИНА**
въ Закавказскомъ краѣ, ა. იაშვილისა.
ფასი 70 კაპ.
(2—141—2).

---

# საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნელი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1904—1905 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკანომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурнаго почерка)

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყობა 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს № საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, 4 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში,

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანც, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშ ინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—18)

---

# ოდესელი ოსტატი

იღებს ხვა-და-სხვა **სატოკრო** საქმეს.

ამზადებს ჩოხის საუკეთესო მასრებს სპილოს ძვლისაგან იაფად, აგრეთვე იღებს შესაკეთებლად და პირის გადასაკვრელად ქოლგებს. ოქრომჭედლების რიგი, სახლი გერმანისა, № 25.

ოსტატი ივანე იანთაშვილი.

Одесскій токарный
# МАСТЕРЪ
**принимаетъ разные токарные заказы**
Приготовляетъ всѣ наилучшіе газири изъ слоновой кости.
Починяетъ и покрываетъ зонтики
Серебряный рядъ, № 25, домъ Германа.
(6—6). *Иванъ Янташвили.*

---

# ბუხჰალტერი-სპეციალისტი

(წელიწადი მეორე)

ამზადებს წელს ბევრად გადიდებულ პროგრამით როგორც ვაჟებს, ისე ქალებს, თეორიულად და პრაქტიკულად ორმაგ იტალიანურ და მარტივ ბუხჰალტერიასა, საზოგადო სავაჭროსა და ბანკისასა, კომერციულ არითმეტიკასა, ფინანსიურ გამოანგარიშებასა, არითმეტიკას საანგარიშო ჩოთქით, კომერციულ კორესპონდენციასა, ვაჭრობის ისტორიასა, ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებს.

(ბანკის ბუხჰალტერია და ვაჭრობის ისტორია მსურველთათვის)

სწავლა ყოველ დღე საღამოს 5-დან 7 საათამდე უქმეების გარდა. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მთელის კურსისა 60 მან.

სწავლა დაიწყება ენკენისთვის 10-ს 1904 წ.

**ადრესი**: ტფილისი, **ალ. გ. საათაშვილს**, მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 17, მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე საღამოს 4-დამ 9 საათამდის, კვირაუქმეობით-კი დილის 9-დან 1 საათამდის და საღამოს 4-დან 9 საათამდის.

ვამზადებ ზემო აღნიშნულ საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 8 დან 9-საათამდის შეეძლებათ სწავლა და ამასთანავე თუ ბუხჰალტერიის შესასწავლად დასჭირდებათ საზოგადო არითმეტიკაშიაც. სწავლა გასტანს რვა თვეს. ფასი მორიგებით და შეღავათიანად. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ.

(14—266—14). ალ. გ. საათაშვილი.

---

მ ს წ რ ა ფ ლ მ ბ ე ჭ დ ა ვ ი
# სტამბა
ექვთიმე ივ. ხელაძისა,

რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხის სასულიერო სემენარიის სახლებში;

იღებს ყველა-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.

სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებულიყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.

ფასი ყველასთვის ხელმისაწდომია.